

N 824-02
27/02/2019

824-02-3-201902271543



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გიორგი ერბოწონაშვილს
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
სამსახურის უფროსის სოფიო შაქარაშვილის

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსის მარინა თედიაშვილის 2019 წლის 30 იანვრის #290-02 მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი წარმოადგენს სახელმწიფო მიზნობრივ ტრანსფერს, რისი განკარგვის უფლებაც სამსახურს აქვს მხოლოდ შემოსული განცხადებების დაკმაყოფილებით, ზემოთხეხილიდან გამომდინარე ხარჯის ათვისება მოხდა მხოლოდ 42%-ით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სოციალური პროგრამით გათვალისწინებული იყო სტიქიით დაზარალებული სახლის მფლობელთა ბინის ქირის ხარჯი 30 500 ლარი 23 ოჯახზე, ფაქტიურად თანხა ირიცხებოდა 20 ოჯახზე, აქედან გარკვეულმა რაოდენობამ ვერ შეძლო დროულად დარეგისტრირებულიყო შემოსავლების სამსახურში, გონივრულ ვადაში არ წარმოადგინეს მუნიციპალიტეტის მერიაში საჭირო საბუთები, აღნიშნულის გამოც შეუჩერდათ ბინის ქირის გადახდა და ახალი ხელშეკრულების გაფორმება რამაც გამოიწვია თანხის გახარჯვა მხოლოდ 70 %-ით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2018 წლის პროგრამაში დემოგრაფიული ხელშეწყობის მიზნით დანერგილი დახმარება-ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახების პროგრამით გათვალისწინებული თანხის გაცემა და გეგმის 60% შესრულება მოხდა შემოსული განცხადებების მომართვიანობის დაბალი აქტივობის გამო, რამაც გამოიწვია თანხის ათვისებლობა.

სოფიო შაქარაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახური